საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Batumi Shota Rustaveli State University

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

TSU Faculty of Social and Political Sciences

BSU Faculty of Humanities

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

# ციფრული მედია და ინოვაციები

Master's Degree Program

# Digital Media and Innovations

2026 წელი

## 1. ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |

## 2. საკონტაქტო ინფორმაცია[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისამართი[2] | **ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, 0179, საქართველო** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **www.tsu.edu.ge** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **chancellery@tsu.ge** |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | **ჯაბა სამუშია** |
| მობილური ტელეფონი | **+995 577 41 44 84** |

[1] საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებული ყველა პირის ელ-ფოსტის მისამართი მიზანშეწონილია იყოს დაწესებულების დომენით წარმოდგენილი; ინფორმაციაში ასევე მიეთითება დაწესებულების ხელმძღვანელის/სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების - თანამდებობა/პოზიცია, სახელი, გვარი

[2] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | |
|---|---|
| ელ-ფოსტის მისამართი | rector@tsu.ge |
| ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი | სალომე დუნდუა |
| მობილური ტელეფონი | 555 15 54 91 |
| ელ-ფოსტის მისამართი | salome.dundua@tsu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | ნათია კუპრაშვილი<br>ნინო ჭალაგანიძე<br>ინგა შამილიშვილი |
| მობილური ტელეფონი | 555 361 321<br>577 55 16 36 |
| ელ-ფოსტის მისამართი | natiakuprashvili@tsu.ge<br>nino.chalaganidze@tsu.ge |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | შოთა ფოთოლაშვილი |
| მობილური ტელეფონი | +995 599 49 54 53 |
| ელ-ფოსტის მისამართი | shota.potolashvili@tsu.ge |

## 3. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება აკრედიტაციის/ ავტორიზაციით განხორციელების მინიჭების პერიოდში | ციფრული მედია და ინოვაციები |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ცვლილებების განხორციელების შემდგომ | ციფრული მედია და ინოვაციები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| კვალიფიკაციის დონე | VII |
| კვალიფიკაციის დასახელება | I ნაწილი - ჟურნალისტიკის მაგისტრი<br>Master of Journalism<br><br>II ნაწილი[3] - კვლევის მაგისტრი ჟურნალისტიკაში<br>Master of Research in Journalism |
| დეტალური სფეროს კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით[4] | 0321.1.1 |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა (ცვლილებების განხორციელების შედეგად) | I ნაწილი - 60 ECTS<br><br>II ნაწილი - 60 ECTS |

[3] კვლევის მაგისტრი - შესაბამისი სწავლის სფეროს მითითებით

[4] იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამა ხორციელდება ამჟამად გაუქმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ შესაბამისად, მიეთითება კვალიფიკაციის კოდი.

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი | ჭავჭავაძის გამზ. №8, თსუ-ს კორპუსი VI, თბილისი, 0179, საქართველო<br>ნინოშვილის ქ.35, I კორპუსი, 6010, ბათუმი, საქართველო |
| საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი - აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ავტორიზებული, შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული<br>№ 476575<br>11/05/2022 |
| გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 11/05/2022 |
| აკრედიტაციის/პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმში განხორციელების ვადის გასვლის თარიღი | 01/07/2028 |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

*პირველი ნაწილი:*

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- უცხო ენის (ინგლისური ენის) B2 დონეზე ცოდნა (დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა ან წერითი გამოცდის ჩაბარება);
- წერითი გამოცდა სპეციალობაში.

მეორე ნაწილი:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

**სფეროს აღწერა:**

0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა ( Journalism and Reporting ) შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობის სფერო უკავშირდება ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის (ამბის) შინაარსს. ციფრულმა თექნოლოგიებმა თანამედროვე ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და საჭიროებების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტრადიციული და ახალი მედიების კავშირი პროფესიულ საქმიანობაში, ასევე წინა პლანზე წამოიწია ციფრული მედიის კონვერგენტულობა. ამ ვითარებაში საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ტიპის მედია ორგანიზაციების ოპერირებისთვის დეფიციტური აღმოჩნდა საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური კადრები. გლობალურმა გამოწვევებმა კიდევ უფრო დააჩქარა და მოითხოვა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება ციფრულ მედიაში. პრაქტიკის ანალიზმა, რომელიც ქართულ მედია განათლების სივრცეში არსებობდა, ცხადყო ჟურნალისტიკის მიმართულებისა და ციფრული ტექნოლოგიების მცოდნე, სპეციფიკაში დახელოვნებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობა, რომელიც შეძლებენ პროფესიული უნარების გამოყენებას ჭარბ ინფორმაციულ ნაკადებსა და მონაცემებში. ციფრული ჟურნალისტიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეთიკური და ობიექტური მედიის ჩამოყალიბებამ, მითუმეტეს, რომ ტრადიციული მედიები აქტიურად იყენებენ ციფრულ პლატფორმებს, რაც მათ საქმიანობას უფრო ეფექტურს ხდის.

საქართველოში მოქმედებს არაერთი მედია საშუალება (როგორც, ტელე, ასევე ბეჭდური და ონლაინ მედიები), რომელიც საჭიროებს ციფრულ ტექნოლოგიებსა და ჟურნალისტიკის სპეციალობაში დახელოვნებულ კადრებს და ვინაიდან პროგრამა წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ორი წამყვანი ინსტიტუციის კოლაბორაციას, არის მოლოდინი, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ არსებულ მედიასივრცეში.

| |
|---|
| **პროგრამის მიზნები** |
| **„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:**<br>**პირველი ნაწილი**<br>1. სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ციფრული მედიის ფუნქციონირების, მართვის უახლესი ტრენდების, შინაარსის მომზადების ინოვაციური მიდგომებისა და გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;<br>2. გამოარჩიოს და განავითაროს ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში;<br>**მეორე ნაწილი**<br>3. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი და დარგობრივი პრობლემების გადაჭრისთვის. |
| **პროგრამის სწავლის შედეგები** |
| *შედეგების ჩამონათვალთან მიუწერეთ აღნიშნვა შემდეგი სახით:*<br>*თუ კონკრეტულ სწავლის შედეგზე სტუდენტი გადის 1 წელს-მიუთითეთ შედეგის გასწვრივ აღნიშვნა- „I ”. თუ კონკრეტულ სწავლის შედეგზე სტუდენტი გადის მეორე წელს, მიუთითეთ აღნიშვნა- „II”. თუ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს შედეგი, რომელზეც გადის სტუდენტი როგორც პირველ, ასევე მეორე წელს მიუთითეთ აღნიშვნა: „1- II ”.* |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**<br>***პირველი ნაწილი:***<br>***ა) ცოდნა და გაცნობიერება***<br>1. აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსადა მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; *(I- II )*<br>**2.** წარმოაჩენს ინოვაციური მარკეტინგული და მენეჯერული მიდგომების როლს ციფრული მედიასაწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის; (*I)*<br>3. მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში, კიბერჰიგიენის საფუძვლებსა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებზე; *(I)* |

4. განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. *(I- II )*

*ბ) უნარები:*

5. არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; *(I- II )*
6. ქმნის, იღებს და ამონტაჟებს მულტიპლატფორმებისთვის მედიურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაში იყენებს მულტიმედიური თხრობის უნარს; *(I )*
7. არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული „სთორითელინგის“ მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; *(I- II )*
8. გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; *(I- II )*
9. როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; *(I- II )*

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:*

10. რედაქციას მართავს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით და ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.*(I)*

*მეორე ნაწილი:*

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

1. აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსადა მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; *(I- II )*
2. განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების

ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. *(I- II)*

*ბ) უნარები:*

3. არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; *(I- II)*
4. არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის" მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; *(I- II)*
5. გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; *(I- II)*
6. როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; *(I- II)*

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:*

7. აკადემიური კეთილსინდიერების დაცვითა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიურ/ პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ციფრულ მონაცემთა კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს; *(II)*

**პროგრამის სტრუქტურა**

**საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან:**
*პირველი ნაწილი:* 60 კრედიტი (ECTS)

- 55 **ECTS** - სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 5 **ECTS** - არჩევითი სასწავლო კურსები;

სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.
**მეორე ნაწილი:** 60 კრედიტი (ECTS)

- 25 **ECTS** - სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 5 **ECTS** - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;

- 30 **ECTS** - სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.

***მეორე ნაწილი:***

60 კრედიტი (ECTS)

**ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები 60 კრედიტი (ECTS):**

- 55 **ECTS** - სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 5 **ECTS** - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;

სწავლება-სწავლის მეთოდები

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** სწავლების ყველაზე გავრცელებული მეთოდია და გულისხმობს ლექციასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის წარმართვას, საუბარს, აზრთა გაცვლა-გამოცვლა;
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რაც გულისხმობს სტუდენტ ჟურნალისტთა მიერ პრაქტიკული დავალებების (ნიუსების, სტატიების, ინტერვიუებისა თუ რეპორტაჟების) შესრულებასა და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს ესსესა თუ რეფერატის დაწერას.
- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. მოცემული მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ელექტრონული სწავლება** - შერეული ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს საუდიტორიო მეცადინეობებს, არამედ მისი მეშვეობით პროფესორი ამრავლფეროვნებს კურსს. პროფესორი ელექტრონულ პორტალზე ათავსებს სასწავლო მასალებს, პრეზენტაციებს; სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიოფაილებს; იყენებს სასწავლო ფორუმებს, როგორც სტუდენტთა დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას; მიმართავს ელექტრონულ ტესტირებას, როგორც შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმას;
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფასა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი -** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია ცოდნის გადაცემისა და ათვისებისთვის, რამეთუ სწორედ წიგნებშია კაცობრიობის ისტორია, კულტურა, კაცობრიობის მონაპოვარი. წიგნზე მუშაობის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ, ესენია: 1. ახსნითი კითხვის/კომენტირებული კითხვის მეთოდი; 2. დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს - მაგალითებს მედიიდან, რომლებსაც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან.

- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** - თოქშოუებისა თუ ინტერვიუების ფორმით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომელიც დაწვრილებით განიხილება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

| |
|---|
| შეფასების სისტემა |

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი ნაწილი)

სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ცალკეულ კომპონენტში მიღებული შეფასებით. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს **შუალედური შეფასებისა** და **დასკვნითი შეფასების** ჯამს.

სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.

შუალედური შეფასება მოიცავს:

ა) შუალედურიგამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა;

ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერითი გამოკითხვები (ტესტი, საშინაო დავალება, რეფერატი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა).

დასკვნითი შეფასების ფორმაა: დასკვნითი გამოცდა

პროგრამის ცალკეული კომპონენტის სილაბუსში მკაფიოდაა აღწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, კერძოდ

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით; ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებაში, შუალედურ და დასკვნით გამოცდაში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი ფასდება მაქსიმუმ 0.5 ქულით;

შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - წერითი ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერითი ნაწილის ხვედრითი წილი შეადგენს საერთო შეფასების არანაკლებ 50%-ს. დასკვნითი გამოცდის საკითხები მოიცავს: თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, ტესტებს და სხვა ტიპის დავალებებს, სილაბუსში აღწერილი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკის მიხედვით.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

<u>**პრაქტიკის შეფასება:**</u>

**შეფასების ფორმები და ქულები:**

ჩართულობა/აქტიურობა - **20 ქულა**

შუალედური გამოცდა (ანგარიში) – **20 ქულა**

პორტფოლიო -**20 ქულა**

დასკვნითი გამოცდა/ანგარიში - **40 ქულა**

**გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21- ქულისა.

**დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 20 ქულა**

**შეფასების კრიტერიუმები:**

**ჩართულობა/აქტიურობა - 20 ქულა**

რეალურ ჟურნალისტურ გარემოში მუშაობის პერიოდში სტუდენტი იძენს და ავითარებს პროფესიონალურ უნარ-ჩვევებს, სტაჟირების პროცესში მიცემული დავალებები შეესაბამება გავლილ თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს. აქვს პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად საჭირო ზოგადი ცოდნა, აანალიზებს და გამოაქვს დასკვნები კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს ირგვლივ.

**შუალედური გამოცდა (ანგარიში) – 20 ქულა**

პროფესიული პრაქტიკის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დადგენილ ვადაში სტუდენტი წარადგენს ანგარიშს სტაჟირებისას მიღებული გამოცდილების შესახებ, ელექტრონულად, მოცულობით 800-1000 სიტყვამდე.

**პორტფოლიო -20 ქულა**

სტაჟირების მეორე ეტაპზე სტუდენტები მიიღებენ კონკრეტულ დავალებებს და შეეცდებიან მათ შესრულებას. მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ სტუდენტი წარმოადგენს სტაჟირების მოკლე მიმოხილვას და შესრულებული დავალებების ნუსხას.

**დასკვნითი გამოცდა/ანგარიში - 40 ქულა**

ანგარიში სრულად უნდა ასახავდეს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნა სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) ფარგლებში:** სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპენენციის ჩამაღრმავებელ და დარგობრივ სასწავლო კურსებს(იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა, პროგრამის პირველი ნაწილის შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს.

<u>**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:**</u>

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

- **რეცენზენტის შეფასება -** მაქსიმუმ 40 ქულა

- **კომისიის შეფასება** – მაქსიმუმ 60 ქულა

**კრიტერიუმები:**

1. **რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა:**

(მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი რეცენზენტი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 21 ქულით)

**ა) აქტუალურობა** - მაქსიმუმ 5 ქულა;

**ბ) კვლევის მეთოდოლოგია** - მაქსიმუმ 10 ქულა;

**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი** - მაქსიმუმ 10 ქულა;

**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი** - მაქსიმუმ 10 ქულა;

**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე**- მაქსიმუმ 5 ქულა.

2.კომისიის შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა:

(მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა)

**ა) კვლევის სამეცნიერო ხარისხი** - მაქსიმუმ 20 ქულა;

**ბ) არგუმენტირების და დასკვნის უნარი**- მაქსიმუმ 20 ქულა;

**გ) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე** - მაქსიმუმ 5 ქულა;

**დ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი**- მაქსიმუმ 5 ქულა;

**ე) კომუნიკაციის უნარი** - მაქსიმუმ 10 ქულა.

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება**

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განსაზღვრისას, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილია **სამიზნე ნიშნული,** რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნულების დადგენამდე განისაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და მეთოდები.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გავითვალისწინეთ აუცილებელი მოთხოვნა – შეფასების შესაძლებლობა.

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება:**

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა:**

ა) შეფასების მეთოდების განსაზღვრა;

ბ) როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს;

გ) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება;

დ) შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შეფასდეს;

ე) სასწავლო კურსები, რომლის მიხედვითაც ხდება პროგრამის საბოლოო შეფასება) უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა;

ზ) სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები და სხვ. აღნიშნული გეგმით განვახორციელეთ ორიენტირება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და მათი შესაბამისობის დადგენა ხდება, როგორც შეფასების პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდით. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია: წერითი გამოცდა, ტესტი, ესე, რეფერატი შუალედური და დასკვნითი გამოცდები, საკვალიფიკაციო ნაშრომი, და სხვა.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია სტუდენტთა თვითშფასება, დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი და სხვა.

**შეფასების პირდაპირი მეთოდით,** აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება, რამდენად ძნელია ან იოლია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად მართებულადაა შერჩეული შესასწავლი თემები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ და რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებული სტუდენტთა რანჟირების სკალის მიხედვით, საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10%, სტუდენტთა ძირითად ნაწილს საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10-10 %-ს.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს აგრეთვე შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვით უნდა დავადგინოთ, თუ რომელი დავალებით, როდის და ვის მიერ შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად **სამიზნე ნიშნულად ვიღებთ** როგორც სამაგისტრო ნაშრომს, ისე იმ სასწავლო კურსებს , რომლებიც სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად ცოდნის გაღრმავება – განმტკიცებას უწყობს ხელს.

**შეფასების არაპირდაპირი მეთოდი:**

პროგრამის შედეგების **არაპირდაპირი შეფასების** მექანიზმად ვიყენებთ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი კომპეტენციების შესაბამისობის დასადგენად, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ როგორც კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნები. სწავლის შედეგების არაპირდაპირი გზით შესაფასებლად გამოკითხვები ტარდება აგრეთვე სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ელექტრონულად, მზადდება კითხვარები, რომელზე პასუხის გაცემა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადგენას. გარდა ამ მექანიზმისა, შეფასების არაპირდაპირი მეთოდია აგრეთვე „სტუდენტის მიერ თვითშეფასება“.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად მოქმედი კომპლექსური მექანიზმი ასეთია:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა – შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა;
- გამოცდებისა და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევაზე;
- სტუდენტთა გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებლთა გამოკითხვა.

| |
|---|
| დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კურიკულუმის კომიტეტი აფასებს პროგრამის შედეგებს. შეფასების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით ხორციელდება ცვლილებები. სწორედ ეს მექანიზმი იქნება გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის. ბსუ-ში სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად აქტიურად გამოიყენება სტუდენტის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის/პროექტის შეფასების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, აანალიზებს შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარგობრივი დეპარტამენტებისათვის და წარმოადგენს სემესტრულ ანგარიშს, რომლებიც განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია** |
| პროგრამა აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით შემუშავდა. 2020-2022-2023 წლებში უნივერსიტეტი მონაწილეობდა აშშ-ს საელჩოს საგრანტო მედიაგანათლების პროგრამაში (MEP), რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა კომუნიკაცია ამერიკელ კოლეგებთან და მათი უშუალო ჩართულობით, კერძოდ<br>პროგრამა დაეყრდნო და შემუშავდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, სადაც მნიშვნელოვან ფაქტორად განსაზღვრულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, კვლევით და ადმინისტრაციულ კომპონენტს. უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ და Horizon2020 - ის პროექტებში. ამასთანავე აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოური ქვეყნების არაერთ უმაღლეს სასწავლებელსა და კვლევით დაწესებულებასთან, რაც აისახება ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციებში, საზაფხულო სკოლებში, სამეცნიერო კვლევებსა და სტუდენტთა მობილობაში. ბსუ-ს რეგიონული პრინციპით აქვს ურთიერთობა აჭარასთან დამეგობრებული რეგიონების უნივერსიტეტებთან, რომლის დადასტურებაც გახლავთ პოლონეთის ქვემო სილეზიის რეგიონის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა.<br>პროგრამის გარე შეფასება და აშშ-ს უახლეს საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებთან შედარება განხორციელდა აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,ასწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ“ ფარგლებში, რომელიც თსუ-სა და ბსუ-სთან მემორანდუმით დაკავშირებულმა ორგანზიაციამ ,,ჟურნალისტიკის რესურსცენტი“ (JRC) განახორციელა. პროექტის ფარგლებში პროგრამა შედარდა შემდეგი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებს: ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტი, სირაკუზის უნივერსიტეტი და ორეგონის უნივერსიტეტი.<br>გარე შეფასება, რომელმაც დაადასტურა პროგრამის თავსებადობა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან, განხორციელდა ჩამოთვლილი უნივერსიტეტებისა და პოლონეთის რესპუბლიკის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ:<br>**1. სეთ ლიუისი,** ჟურნალისტიკის დოქტორი, ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ. (Seth C. Lewis, Ph.D. - Professor and Shirley Papé Chair in Emerging Media Director of Journalism School of Journalism and Communication. University of Oregon);<br>2. **ჯოელ კაპლანი,** ასოცირებული პროფესორი, სირაკუზის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. აშშ. (Joel Kaplan. Associate Dean for Professional Graduate Studies Newhouse School at Syracuse University US); |

3. **დენის მეთსონი**, დეპოლის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანაშემწე, ჩიკაგო, აშშ; (Denise Mattson - Special Assistant | Office of the President | DePaul University, Chicago, US

4. **არკადიუს ლევიცკი,** ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის პროფესორი, სოციალური კომუნიკაციისა და მედია მეცნიერების სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთი. (Prof. Arkadiusz Lewicki, Institute of Journalism and Social Communication, University of Wroclaw, Chairman of the Scientific Discipline Council, for Social Communication and Media Science);

პროგრამა დაეყრდნო და შემუშავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, სადაც მნიშვნელოვან ფაქტორად განსაზღვრულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, კვლევით და ადმინისტრაციულ კომპონენტს. უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ და Horizon2020 - ის პროექტებში. ამასთანავე აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოური ქვეყნების არაერთ უმაღლეს სასწავლებელსა და კვლევით დაწესებულებასთან, რაც აისახება ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციებში, საზაფხულო სკოლებში, სამეცნიერო კვლევებსა და სტუდენტთა მობილობაში. ბსუ-ს რეგიონული პრინციპით აქვს ურთიერთობა აჭარასთან დამეგობრებული რეგიონების უნივერსიტეტებთან, რომლის დადასტურებაც გახლავთ პოლონეთის ქვემო სილეზიის რეგიონის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა.

გარდა უნივერსიტეტის ფართო სპექტრით თანამშრომლობისა, აღსანიშნავია თავად ფაკულტეტის, რომლზეც განხორციელდება მოცემული საბაკალავრო პროგრამა (ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტები), ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება უკვე ტრადიციად ქცეულ საერთაშორისო კონფერენციებში, სეზონურ სკოლებში, კვლევებსა და სტუდენტთა და პროფესორთამობილობაში როგორც უცხოეთის სხვადასხვა, ასევე ჩვენს უნივერსიტეტში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 02.12-04.12.2022 წ. ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - 4“, რომლის ფარგლებში იმუშავა მასობრივი კომუნიკაციებისა და მედიის კვლევების სექცია. მასში მოხსენებები გააკეთეს პარტნიორი უნივერსიტეტების (აშშ, ბულგარეთი, პოლონეთი) წარმომადგენლები. ამავე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (სტივენ ჰანტი, ნათან კარპენტერი, ლორა ტრენდელ პოლისი, დენის მეტსონი).

ჟურნალისტიკის მიმართულებით წარმატებით განხორციელდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროექტი (2021-2023წწ), რომლის ფარგლებში 06.05-19.05.2022წ. პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში მონაწილე 3 პედაგოგის სამუშაო ვიზიტი განხორციელდა სოფიას უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტზე. ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა გვესაუბრა პროგრამის კურიკულუმის სრულყოფაზე (შემუშავდა გრაფიკული მედიის სასწავლო სილაბუსი) და თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის ფორმირება ევროპულ სტანდარტზე დაყრდნობით. ამავე პროექტის ფარგლებში 2023 წლის მარტში განხორციელდება „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 4 სტუდენტის ერთთვიანი სასწავლო ვიზიტი სოფიას უნივერსიტეტში. ამავე საგრანტო პროექტის ფარგლებში შევძელით მოგვეპოვებინა საავტორო უფლებები „კონვერგენტული ჟურნალისტიკის“ სახელმძღვანელოზე, რომელიც ითარგმნა და დაიბეჭდა, ამავე დროს ამ სახელმძღვანელოს დაეფუძნა

„კონვერგირებული ჟურნალისტიკის“ სასწავლო კურსი. აშშ-ს საელჩოს მედიაგანათლების პროგრამის ფარგლებში 2021-2022წწ სამუშაო ვიზიტი განხორციელდა ჩიკაგოს დეპოლის, ილინოისის უნივერსიტეტებში და კოლუმბიის კოლეჯში, (2021 წელს- ინგა შამილიშვილი, 2022 წელს- ირმა გაბინაშვილი), და ამავე წლებში განხორციელდა ამერიკელი კოლეგების სამუშაო ვიზიტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოფებში მონაწილეობდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები და სტუდენტები. 2023 წელს (გვანცა საბაშვილი) სამუშაო ვიზიტი განხორციელდა ჰემპტონის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი), არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფენიქსი, არიზონა) და საპასუხო ვიზიტით ბათუმში იმყოდებოდნენ ამ უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებმაც ჩაატარეს ვორქშოფები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფესიულ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება. 2023 წელს გავერთიანდით ჟურნალისტიკის სწავლების ევროპულ ასოციაციაში (EJTA). ყოველწლიურად პროგრამის განმახორციელებელი პირები და სტუდენტები იღებენ მონაწილეობას ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში. ასოციაციის ეგიდით ანტვერპენის უნივერსიტეტის პროფესორებმა (ფრედერიკ მარაიენი, ნადია ვისერსი) 2024 წელს ჩაატარეს ვორქშოფი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. თითოეული ეს აქტივობა ასახულია უნივერსიტეტის ვებ გვერდსა და ფეისბუქ გვერდებზე. 2022 და 2023 წლებში ციფრული მედიისა და ინოვაციების 4 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ამავე ასოციაციის ეგიდით ჩატარებულ სტუდენტურ ფესტივალში.

Erasmus+ ფარგლებში 2024 წლის გაზაფხულის სემესტრში ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა სოფიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი ნიკოლაი კოლევი, ხოლო 2025 წლის შემოდგომის სემესტრში საპასუხო ვიზიტი განახორციელა ასისტენტ-პროფესორმა ირმა გაბინაშვილმა.

2026 წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმისა და აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ვროცლავის (პოლონეთი) სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციების სპეციალობაზე ერთ სასწავლო სემესტრს გადის საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტი.

ინტერნაციონალიზაცია მოიცავს და ითვალისიწნებს:

- უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროექტების (კონფერენციები, ვებინარები, საკარო ლექციები, სემინარები, საერთო მოდულური სწავლება და ა.შ) განხორციელებას (მათ შორის Erasmus+ და Horizon2020 ფარგლებში);
- საერთაშორისო თემატური სეზონური სკოლების ორგანიზებას;
- საერთაშორისო სეზონური სკოლების განმახორციელებაში ქართველი და უცხოელი ლექტორების ჩართულობას;
- საერთაშორისო სეზონური სკოლების მონაწილე ქართველი და უცხოელი სტუდენტების ჩართულობას;
- საერთაშორისო სეზონური სკოლების ორგანიზებისთვის დამატებითი თანხების მოზიდვას როგორც საერთაშორისო დონორებისგან, ასევე საქართველოში არსებული სამეცნიერო ფონდებიდან და სახელმწიფო ინსტიტუტებიდან;
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობას;
- უცხოელი ლექტორების მიერ მშობლიურ ენაზე/ენებზე განხორციელებული სასწავლო კურსების შეთავაზებას;

- უცხოურ ენებზე გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომებისა და სამეცნიერო პერიოდიკის ხელმისაწდვომობას;
- საერთაშორისო პუბლიკაციებსა და სტუდენტთა და პედაგოგთა სტაჟირებებს პარტნიორ უნივერსიტეტებში

**დასაქმების სფეროები**

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს:**

- ეროვნული და რეგიონული მაუწყებლები (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტვ-25, ბათუმელები, ნეტგაზეთი, გაზეთი „აჭარა“) და მედიაორგანიზაციები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- რეგიონული მთავრობა, სამინისტროები;
- საჯარო სექტორი;
- კერძო სექტორი.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დამატებით დასაქმდეს:**

- მედიაკრიტიკის პლატფორმები;
- სოციალური მედიის კვლევის და ანალიზის მიმართულებით;
- კერძო და საჯარო სექტორში მედიამკვლევრისა და ანალიტიკოსის პოზიციაზე.

**პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საინფორმაციო რესურსი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ უზრუნველყოფილია ტექნიკური და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობით, რაც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე პუნქტია საყურადღებო:

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობადა საბიბლიოთეკო რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა მოხდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკითა და ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით:

- ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/)
- Scopus (https://www.scopus.com/search/form.uri?display=basic)
- EBSCO Publishing (http://search.epnet.com)
- Cambridge University Press (http://journals.cambridge.org)
- Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org)

და სხვა.

(დამატებითი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ იხილეთ ბმულზე

https:// bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.htm l

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ციფრული მედია და ინოვაციები“ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ტელესტუდიით, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, სტუდიური გამანათებლებით, პლაზმური ტელევიზორებით, ციფრული ფოტოაპარატების კომპლექტებით, ვიდეოკამერებით, პლანშეტებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა უახლესი სტუდიური აპარატურა, რითაც შესაძლებელი გახდა მულტიმედია ცენტრის მოწყობა. გარდა ამისა უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს პრაქტიკის ბაზებით, რისთვისაც მას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები რეგიონში არსებულ მაუწყებლებთან. კერძოდ:

- აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ტვ 25;
- გაზეთი ბათუმელები; ნეტგაზეთი;
- გაზეთი ,,აჭარა“

პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას ხელს შეუწყობს ბსუ-ს გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ და უნივერსიტეტში მოქმედი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესსამსახური.

| |
|---|
| უნივერსიტეტში სასწავლო რესურსების და სერვისების შეფასებისათვის ხდება ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხ-ვები, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეების, რესურსების (საბიბლიოთეკო რესურსები, სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცეები, კლინიკები, პრაქტიკის ობიექტები, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული სერვისები, ჰიგიენური ნორმები, სტუდენტთა თავისუფალი სივრცე, კვების ობიექტი, საერთო საცხოვრებელი) და სერვისების (სტუდენტებისთვის: კურიკულუმის გარე აქტივობები, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, პროექტები, კულტურული/შემოქმედებითი და სპორტული წრე-ები; პროფესორ-მასწავლებელთათვის: სამეცნიერო გრანტები/მივლინებები, ვორქშოპები, ტრენინგები/გადამზადების კურსები და ა.შ.) შეფასებას. სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევების სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს შესაბამისი რესურსების/სერვისების სრულყოფის მიზნით და რეაგირებისთვის ინფორმაციას წარუდგენენ რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. |
| **სწავლის გაგრძელების პერსპექტივა** |
| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი I)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.<br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი II)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე. |
| პროგრამის ხარისხის შეფასება |
| სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.<br>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შ ეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შ ეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br>**შიდა ხარისხის** უზრუნველყოფის პროცესის მართვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება წარმოადგენს ბსუ-ს ერთ-ერთ ძირითად პასუხისმგებლობას და მისი მთავარი მიზანია მაღალი აკადემიური ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება და განვითარება. შესაბამისად, ბსუ-ში შექმნილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შეფასებაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობას. ხარისხის კვლევაში დაინტერესებული |

მხარეების ჩართულობა საშუალებას აძლევს ბსუ-ს სხვადასხვა პერსპექტივიდან შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამა, გააანალიზოს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმოს ღონისძიებები და აქტივობები პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორ-დინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში.

აკადემიური საბჭოს №06-01/54 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი“ არეგულირებს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს.

**შიდა ხარისხის** შეფასების სისტემის ეფექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით

აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიურებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. **საყურადღებოა, რომ პერსონალის შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის-** www.apa.bsu.edu.ge **გამოყენებით,** რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიე-რო საქმიანობის კომპონენტებს. პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი, პერსო-ნალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სისტემატიური მონიტორინგი, სტუდენტებისაგან, კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან უკუკავშირის მიღება, შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა პერსპექტივიდან და მოახდინოს როგორც სუსტი, ასევე ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. ამას ასევე ერთვის სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებს.

„ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ეფუძნება ხარისხის შეფასების უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. მისი მთავარი პრინციპები მოიცავს:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას;
- პერსონალის განვითარებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობას;
- სასწავლო რესურსებისა და სერვისების გაუმჯობესებას;
- სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას;
- პერიოდული მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას.

ხარისხის პოლიტიკის რეალიზების ერთ-ერთ მექანიზმად ბსუ იყენებს სასწავლო პროცესის უწყვეტი მონიტორინგის მეთოდს, რის საფუძველზეც ახორციელებს შედეგების შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ითვალისწინებს სააუდიტორიო მუშაობის სისტემატურ შეფასებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით, სასწავლო სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრება/ურთიერთდასწრება. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ლექციის / ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკულის/ სემინარის/ ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ფორმა, რომელიც ასახავს თუ რამდენად ემსახურება ლექტორის მიერ ჩატარებული მეცადინეობა სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას. აღნიშნული დასწრების ფორმა მიმდინარე 2022 წელს დაემატა უნივერსიტეტის ელექტრონულსერვისებს (სტუდენტური პორტალი), რითაც პროცესი კიდევ უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი გახდა. https://portal.bsu.edu.ge/Acad-Monitoring/index.html.

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ასევე გულისხმობს საგამოცდო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების გაანალიზებას (ხორციელდება სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის, განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით). უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკურ ანალიზსაც. სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ელექტრონული სისტემით გარკვეული პერიოდულობით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი კვლევების განსახორციელებლად ელექტრონული სისტემის საშუალებით (www.portal.bsu.edu.ge) სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესორ-მასწავლებელთა და დამსაქ-მებელთა გამოკითხვას ტექნიკურად უზრუნველყოფს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი.

ამდენად, შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად ბსუ იყენებს პროგრამის შეფასების როგორც პირდაპირ (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების: შუალედური გამოცდის, ყოველკვირეული შეფასების, დასკვნითი გამოცდის და საბოლოო შეფასების ანალიზი, სტუდენტთა მიღწევები სილაბუსით დაგეგმილ კონკრეტულ დავალებასა თუ აქტივობაში, რომელიც სწავლის შედეგზე გადის და სხვ. ), ისე არაპირდაპირ (პროფესორ - მასწავლებელთა გამოკითხვა , სტუდენტთა გამოკითხვა-კმაყოფილების კვლევა და უკუკავშირი სტუდენტებისგან, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, სტუდენტთა პროგრესიის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებლის ანალიზი და სხვ.) მეთოდებს. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე", რითიც აჩვენებს, რომ ის მუდმივად ზრუნავს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

თსუ-სა და ბსუ-ს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები, შიდა შეფასების გარდა, იყენებს ხარისხის **გარე შეფასების** მექა-ნიზმსაც, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას," ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას" და ,,აკრედიტაციის სახელმძღვანელოს". როგორც უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის, ასევე თვითშეფასების ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ასევე აისახება ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშშიც.

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.), განიხილავს მას და მიღებულ რე-კომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.პროგრამის გარე შეფასება და აშშ-ს უახლეს საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებთან შედარება განხორციელდა აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,ასწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ" ფარგლებში, რომელიც თსუ-სა და ბსუ-სთან მემორანდუმით დაკავშირებულმა ორგანზიაციამ ,,ჟურნალისტიკის რესურსცენტი" (JRC) განახორციელა. პროექტის ფარგლებში პროგრამა შედარდა შემდეგი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებს: ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტი, სირაკუზის უნივერსიტეტი და ორეგონის უნივერსიტეტი.<br>გარე შეფასება, რომელმაც დაადასტურა პროგრამის თავსებადობა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან, განხორციელდა ჩამოთვლილი უნივერსიტეტებისა და პოლონეთის რესპუბლიკის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ:<br>**1. სეთ ლიუისი,** ჟურნალისტიკის დოქტორი, ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ. (Seth C. Lewis, Ph.D. - Professor and Shirley Papé Chair in Emerging Media Director of Journalism School of Journalism and Communication. University of Oregon);<br>2. **ჯოელ კაპლანი,** ასოცირებული პროფესორი, სირაკუზის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. აშშ. (Joel Kaplan. Associate Dean for Professional Graduate Studies Newhouse School at Syracuse University US);<br>3. **დენის მეთსონი**, დეპოლის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანაშემწე, ჩიკაგო, აშშ; (Denise Mattson - Special Assistant \| Office of the President \| DePaul University, Chicago, US<br>4. **არკადიუს ლევიცკი,** ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის პროფესორი, სოციალური კომუნიკაციისა და მედია მეცნიერების სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთი. (Prof. Arkadiusz Lewicki, Institute of Journalism and Social Communication, University of Wroclaw, Chairman of the Scientific Discipline Council, for Social Communication and Media Science); |
| **სწავლის საფასური** |
| • საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო;<br>• სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა. |
| **საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი** |
| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე მიიღებს 5 სტუდენტს. |

**ფაკულტეტი:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

**მიმართულება:** ჟურნალისტიკის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ციფრული მედია და ინოვაციები

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა

**კრედიტების რაოდენობა:** 60+60 ECTS

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი:** ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე, ბსუ ასოცირებული პროფესორი ინგა შამილიშვილი

**აკადემიური საბჭოს მიერ საასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** 22.06.2026 44/2026 (დანართი 60)

**პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული:**

**საასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი:** 2026 – 2027 საასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

## სასწავლო გეგმა 1

| № | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | კრედიტების რაოდენობა (ECTS) | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | ლექტორი / ლექტორები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | | დამოუკიდებელი | სულ | | I | II | |
| | | | | ლექცია | სემინარი/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული | გამოცდის დრო | | | | | | |
| | | **სავალდებულო კურსები - 55 კრედიტი** | | | | | | | | | | |
| 1 | | ციფრული მედია | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნათია კუპრაშვილი(თსუ)<br>ლაშა ზარგინავა (ბსუ) |
| 2 | | რეპორტინგი ციფრულ მედიაში | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნინო ჭალაგანიძე (თსუ)<br>მაია მერკვილაძე (ბსუ) |
| 3 | | კიბერკულტურა და ჟურნალიზმი | 5 | 15 | 15 | 5 | 65 | 100 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნათია კუპრაშვილი (თსუ)<br>ნინო დოლიძე (ბსუ) |
| 4 | | დარგობრივი ინგლისური ენა | 5 | - | 45 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნათია ქათამაძე (ბსუ)<br>ენების ცენტრის პედაგოგი (თსუ) |
| 5 | | მედიატრენდები და მედიასტარტაპები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ეკატერინე ბასიალაია (თსუ)<br>ფირუზ ბოლქვაძე (ბსუ) |
| 6 | | გრაფიკული მედია | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | რეპორტინგი ციფრულ მედიაში | | ✓ | მაია ტორაძე (თსუ)<br>ნანა კვაჭაძე (ბსუ) |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | პოდკასტების წარმოება | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | ციფრული მედია | | ✓ | თეა მჟავანაძე (თსუ)<br>მაია მერკვილაძე (ბსუ) |
| 8 | | ვიზუალური თხრობა | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნინო ჭალაგანიძე (თსუ)<br>ნინო დოლიძე (ბსუ) |
| 9 | | ტრანსმედია პროექტები | 5 | 15 | 30 | 4 | 76 | 125 | ციფრული მედია | | ✓ | ნათია კუპრაშვილი (თსუ)<br>გვანცა საბაშვილი (ბსუ) |
| 10 | | პროფესიული პრაქტიკა | 10 | - | 65 | 5 | 180 | 250 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ინგა შამილიშვილი (ბსუ)<br>ხათუნა კაჭარავა (თსუ) |
| **არჩევითი კურსები - 5 კრედიტი** | | | | | | | | | | | | |
| 1 | | თანამედროვე მულტიმედია და WEB ტექნოლოგიები | 5 | 15 | 15 | 4 | 91 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | შოთა ბარბაქაძე (თსუ)<br>მიხეილ დონაძე (ბსუ) |
| 2 | | ციფრული მედიის დიზაინი | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ხათუნა კაჭარავა (თსუ),<br>დავით ბენდელიანი (ბსუ) |

## სასწავლო გეგმა 2

| № | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | კრედიტების რაოდენობა (ECTS) | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | ლექტორი / ლექტორები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | | დამოუკიდებელი | სულ | | I | II | |
| | | | | ლექცია | სემინარი/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული | გამოცდის დრო | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **სავალდებულო კურსები - 55 კრედიტი** | | | | | | | | | | |
| 1 | | მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ელდარ იბერი (თსუ)<br>ირმა გაბინაშვილი (ბსუ) |
| 2 | | მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ხათუნა მაისაშვილი (თსუ)<br>თამარ ორაგველიძე (ბსუ) |
| 3 | | წერა ქსელური მედიისთვის | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | მანანა შამილიშვილი (თსუ)<br>მარიამ  კორინთელი (ბსუ) |
| 4 | | ფუნქციური წერა და სტილისტიკა | 5 | 15 | 30 | 3 | 77 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | მზია ხახუტაიშვილი (ბსუ)<br>ნათია სვანიძე  (თსუ) |
| 5 | | მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია | 5 | 15 | 15 | 4 | 91 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | მაია ტორაძე (თსუ)<br>მაია მერკვილაძე (ბსუ) |
| 6 | | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | 60 | | | 690 | 750 | ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი | | ✓ | ნინო წალაგანიძე (თსუ)<br>ნათია კუპრაშვილი (თსუ)<br>ინგა შაილიშვილი (ბსუ)<br>სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი |
| | | **არჩევითი კურსები - 5 კრედიტი** | | | | | | | | | | |
| 1 | | ციფრული მედიის სამართალი | 5 | 15 | 15 | 4 | 91 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | უჩა სეთური (თსუ),<br>მარიამ კორინთელი (ბსუ) |
| 2 | | ინოვაციური ტექნოლოგიები მედიამენეჯმენეჯმენტში და თვითმართვა | 5 | 15 | 15 | 3 | 92 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | გენადი გელაძე (ბსუ)<br>მარინა ლომიძე (თსუ) |
| 3 | | ციფრული მედიის მარკეტინგი | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნათია კუპრაშვილი (თსუ)<br>გენადი გელაძე (ბსუ) |

**სავალდებულო სასწავლო კურსები**:**

1. ციფრული მედია;
2. რეპორტინგი ციფრულ მედიაში;
3. კიბერკულტურა და ჟურნალიზმი;
4. დარგობრივი ინგლისური ენა;
5. მედიატრენდები და მედიასტარტაპები;
6. გრაფიკული მედია;
7. პოდკასტების წარმოება;
8. ვიზუალური თხრობა;
9. ტრანსმედია პროექტები;
10. პროფესიული პრაქტიკა;

**პროგრამის სწავლის შედეგები***

სამაგისტრო დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

| **ცოდნა და გაცნობიერება** | |
|---|---|
| შედეგი 1 | აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსა და მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; |
| შედეგი 2 | წარმოაჩენს ინოვაციური მარკეტინგული და მენეჯერული მიდგომების როლს ციფრული მედიასაწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის; |
| შედეგი 3 | მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში, კიბერჰიგიენის საფუძვლებსა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებზე; |
| შედეგი 4 | განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. |

| **უნარები** |
|---|

| | |
|---|---|
| შედეგი 5 | არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; |
| შედეგი 6 | ქმნის, იღებს და ამონტაჟებს მულტიპლატფორმებისთვის მედიურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაში იყენებს მულტიმედიური თხრობის უნარს; |
| შედეგი 7 | არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის" მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; |
| შედეგი 8 | გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; |
| შედეგი 9 | როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; |

| ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა | |
|---|---|
| შედეგი 10 | რედაქციას მართავს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით და ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. |

**1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება;**

**მეორე ნაწილი**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | .6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შედეგი 1** | | 1,2 | 2 | 1,2 | | 3 |
| **შედეგი .2** | | | | | | 3 |
| **შედეგი .3** | | 2 | | 1,2 | | 3 |
| **შედეგი 4** | 1 | | 2 | | | 3 |
| **შედეგი 5** | | | | | 2,3 | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შედეგი 6** | | | | | **2** | **3** |
| **შედეგი 7** | | | | | | **3** |

**სავალდებულო სასწავლო კურსები**:**

1. მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები;
2. მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები;
3. წერა ქსელური მედიისთვის;
4. ფუნქციური წერა და სტილისტიკა;
5. მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია
6. სამაგისტრო ნაშრომი.

**პროგრამის სწავლის შედეგები***

სამაგისტრო დასრულების შემდეგ კურსდამათავრებული შეძლებს:

| **ცოდნა და გაცნობიერება** | |
|---|---|
| შედეგი 1 | აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსა და მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; |
| შედეგი 2 | განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. |

| **უნარები** | |
|---|---|
| შედეგი 3 | არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; |

| | |
|---|---|
| შედეგი 4 | არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის" მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; |
| შედეგი 5 | გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; |
| შედეგი 6 | როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; |

| ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა | |
|---|---|
| შედეგი 7 | აკადემიური კეთილსინდიერების დაცვითა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიურ/ პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ციფრულ მონაცემთა კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს; |

**1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება;**

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა 1**